

3. პარაგამპილი**მდ. ივრის გეზნის კატაკომბური სამარხების
ღათარიღებისათვის**

აღრეული ყორღანული სამარხებიდან სამი კატაკომბური სამარხი შეისწავლა კახეთის ექპედიციამ მდ. ივრის ზეგანზე, სამივე დაზიანებული, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანი მასალით..

ბრძაღელის ორი კატაკომბური სამარხი აღმოჩნდა ბოლბე-მაჩხაანის (სიღნაღის რაიონი) საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს. 1977 წელს წყალსადენის გაყვანის ღროს გრაქტორმა ორ სამარხს ჩამოაჭრა სამხრეთი ნაწილი. ორივე ერთმანეთის გვერდით მდებარეობდა და ერთმანეთისაგან 1,5 მ-ით იყო დაშორებული. აღმოსავლეთით მდებარე სამარხისაგან გადარჩენილი აღმოჩნდა მხოლოდ მცირე ნაწილი, სადაც გაიწმინდა მიცვალებულის ტერფის ძვლები. ამონაყარ მიწაში ადამიანის ძვლის ფრაგმენტების გარდა სხვა არაფერი არ დადასტურდა. (ტაბ., 1-1).

მეორე სამარხი, რომელიც პირველისაგან დასავლეთით მდებარეობდა, შედარებით უკეთ იყო გადარჩენილი. თიხნარ გრუნტში ამოჭრილი იყო 0,70 მ. სიგანის ჭისებური ორმო, სიღრმით 1მ., რომელიც რიყის ქვით აღმოჩნდა ამოვსებული. ორმოს ფსკერზე გაიწმინდა 0,80მ. სიგანისა და 1მ. სიგრძის თახჩა. მის დასავლეთ ნაწილში დაფიქსირდა ერთი ჩონჩხი, რომელიც იწვა მარჯვენა გვერდზე მოხრილი კიდურებით (ტაბ., 1-2). ყელის არეში აღმოჩნდა ძვლის სოლისებური ფორმის ოთხი და ცამეტი სხვადასხვა ზომის, წრიული ფორმის ბრტყელი მძივი (ტაბ., 1-3).

ჩალიანხევის № 1 გორასამარხი მდებარეობს შირაქში, დედოფლის წყარო-მემო ქედის საავტომობილო გზის და ჩალიანხევის მარჯვენა მხარეს. სამარხს სამხრეთის მხრიდან ჩამოუღის ნიახურას წყარო, უფრო კი, ამ უკანასკნელთანაა უფრო ახლოს. მისგან დასავლეთით, დაახლოებით 4 კმ-ზე აღმართულია ქოჩების გორა. სამარხის დიამეტრი 20 მ-ია, სიმაღლე 1მ. ყორღანი დაზიანებული აღმოჩნდა ორი შურფით. ერთ მათგანს ჩაჭრილი ჰქონდა ღრმოსი, ხოლო მეორეს უშუალოდ სამარხი. ოვალური ფორმის დასაკრძალავი კამერა 1მ. სიმაღლისა ყოფილა და გუმბათოვანი, გამოჭრილი ყვითელ თიხნარში 3მ. სიღრმეზე. კამერა სიგრძით 2, 65 მ-ია და სიგანით 2მ., დამხრობილი აღმოსავლეთ-დასავლეთის ხაზზე. ღრმოსი კამერას აღმოსავლეთის მხრიდან უკავშირდებოდა.

მისი სიგრძე 3მ. შეადგენდა. იწყებოდა ველის ღონებზე 1მ. სიგანით, მიდიოდა დამრეცად და კამერასთან მთავრდებოდა 0, 70მ. სიმაღლისა და 0, 80მ. სიგანის საფეხურით. სწორედ აქ იყო გამოჭრილი კამერაში შესასვლელად 0, 50მ. სიმაღლის ხვრელი (ტაბ., II). დრომოსი ამოვსებული ყოფილა მიწითა და საკმაოდ მსხვილი რიყის ქვით, ძველი ველის ღონებზე გადახურული დიდი, ბრტყელი ქვით. დრომოსში გაიწმინდა (უკვე დაზიანებული) ხუთიოდე მიცვალებული, ყველა უინვენტარო. დაკრძალვის პოზა მხოლოდ ერთ ჩონჩხზე შეიმჩნეოდა. იწვა მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილი, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით. კამერაში აღმოჩნდა ოთხი ჩონჩხი, იწვნენ კიდურებმოხრილი, სხვადასხვა გვერდზე, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთით ან ჩრდილო-დასავლეთით. საინტერესოა, რომ სამარხის იატაკზე იღო ერთი ბრტყელი ქვა, რომლის გარშემოც შემოწყობილი ყოფილა ექვსი თავის ქალა (ეს ცნობა თავით სამარხის დამზიანებლებმა მოგვაწოდეს). სამარხში სულ თიხის ექვსი ჭურჭელი აღმოჩნდა, ყველა დამზადებული ხელით, კარგად დამუშავებული თიხისგან. კეცში შერეულია სილა, იშვიათად ქვიშა. გამოწვა კარგია (ტაბ., III, IV, V).

ვიდრე მასალის ანალიზზე და პარალელებზე დავიწყებდეთ საუბარს, მოგადად შევეხოთ სამარხის კონსტრუქციას და მასთან დაკავშირებულ ქრონოლოგიის საკითხს.

მემოთ აღწერილი სამი კატაკომბური სამარხიდან, ორს ჭისებური, ხოლო ერთს დამრეცი შესასვლელი აქვს. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამარხის ეს სახეობა საკმაოდ გავრცელებული ჩანს კავკასიის როგორც ჩრდილო, ისე სამხრეთ მხარეს. კატაკომბურმა კულტურამ (როგორც დღეს მას უწოდებენ) [33, გვ.5], მოიცვა მთლიანად ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. ეს არის ტერიტორია მოლდავეთიდან მდ. ვოლგამდე და სამხრეთით კავკასიის მთებამდე [33, გვ.5], სადაც გამოყოფილია კიდევ რამდენიმე ლოკალური კულტურა: ზღვისპირა, ჩრდილო კავკასიური და სხვ. გათხრილი და შესწავლილია ასობით სამარხი, რის საფუძველზეც დადგენილია კულტურის განვითარების ეტაპები. I ეტაპზე ჩრდილო კავკასიური კულტურა, ვ. მარკოვინის აზრით გავრცელებული იყო, როგორც სტეპურ, ისე მაღალმთიან რეგიონში [27]. II ეტაპზე ვ. საფრონოვის ქრონოლოგიური სქემის მიხედვით, კატაკომბურ კულტურას უკავია მდინარეების: ყუბანისა და თერგის სტეპური ტერიტორია, ხოლო III ეტაპზე, აღნიშნული კულტურა ითვისებს კავკასიის მთისწინა ზოლს [40, გვ.51]. შესწავლილია მთელი რიგი სერია კატაკომბური სამარხებისა: ყაბარღო-ბალყარეთში, ჩრდილო ოსეთში, ჩეჩენო-ინგუშეთში და დაღესტანში [40, გვ.51].

აღსანიშნავია ჩრდილო ოსეთში სოფელ ნოგირის, ჩიკოლა I და ჩიკოლა II კატაკომბური სამარხები. მათთვის დამახასიათებელია ჭსებური ჩასასვლელი, დასაკრძალავი კამერა გუმბათოვანი, გვეგმაზე ფორმით ოვალური, მოგჯერ ნახევარწრიული [40, ნახ; 2,3,,6,8,10,11, 13,14,15]. ყველა ინდივიდუალური. არის კენოტაფის შემთხვევაც (ჩიკოლა II, გორასამარხი №4, სამარხი №1). სშირ შემთხვევაში დაკრძალულნი არიან კიდურებმოხრილი რომელიმე გვერდზე. იშვიათ შემთხვევაში მურგზე გაშოტილ მდგომარეობაში. (ჩიკოლა II, გორასამარხი №6, სამარხი №1,7).

აღრეკატაკომბურია მდინარე აკისას ხეობაში (ქ. ნოვოჩერკასის სამხრეთ-დასავლეთით) შესწავლილი რამდენიმე (5) სამარხი, ხოლო მათ შორის (მე-6), გვიანდელი პერიოდისაა [38, გვ., 105]. სამარხებში შესასვლელი დამხრობილია კამერის მიმართულებით და მთავრდება დაბალი საფეხურით (ერთ შემთხვევაში სამი საფეხურით). კამერა ოვალურია. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე კიდურებმოხრილი. სამარხებში შეიმჩნევა ოხრა [38, გვ., 105-106, ნახ., 4,5]. ზოგი სამარხის შესასვლელი სწორკუთხაა, რის საფუძველზეც, ავტორის აზრით, აქ უნდა იყოს შერწყმა ორი ლოკალური კულტურის, რადგან სწორკუთხა შესასვლელი დამახასიათებელია ღონეცკ-მანჩის, ხოლო ოვალური როსტოვ-ლუგანის რეგიონებისათვის [38, გვ., 110].

გვიანდელია კიშპეკის (ყაბარდო-ბალყარეთის) პირველი და მეორე კატაკომბური სამარხები, რადგან მათ, როგორც ი. ჩეჩენოვი აღნიშნავს, პარალელები ეძებნება ისეთ ძეგლებთან, როგორიცა: ჩიქოლა, ნოგირი (ჩრდილო ოსეთი), უსტ-ჯეგუტინი, სუეოროვის და სხვ. [48, გვ.,50].

აღსანიშნავია 1950-1951 წლებში, დაღესტანში, საღგურ მანასთან ახლოს (ყარაბუღახკენცის რ-ნი) გათხრილი ორი დაზიანებული კატაკომბური სამარხი. მოპოვებული მასალის მიხედვით გ. ფედოროვი ორივეს ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარილებს [45, გვ., 22]. რ. მუნჩაევისა და კ. სმირნოვის აზრით, სამარხები უნდა ეკუთვნოდეს ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთი სტეპური ზონიდან შემოსულ ხალხს [30, გვ., 167-203].

კიდევ უფრო საინტერესოა ამავე რეგიონში შესწავლილი №5 კატაკომბა, სადაც 136 მიცვალებულია დაფიქირებული [17, გვ.,7,16, გვ.,29-33]. აღსანიშნავია აქვე გათხრილი კიდევ სამი კატაკომბა და სამივე კოლექტიური. ყველა მათგანი ყრილის გარეშე. მათი კამერა ოვალური ფორმისაა ზომით 3,40X2,23 მ-დან 4,35X2,35 მ-მდე. ოთხკუთხა ფორმის შესასვლელი კამერასთან მთავრდება ხვრელით. ერთ მათგანში გაიწმინდა 20 ჩონჩხი, მეორეში- 100-მდე, ხოლო მესამეში 48. ასევე დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი თიხის

ჭურჭელიც. მოპოვებული მასალის მიხედვით, სამარხები ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულითა და II ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება [20, გვ., 116-117].

1978 წელს კრასნოდარის მხარეში სადგურ ბრიუხოვეცთან სიახლოვეს გაითხარა გორასამარხი. მასში დაფიქსირდა 12 სამარხი, საღვ 8 აღმოჩნდა წინაკატაკომბური დროის, ხოლო 4 შუაბრინჯაოს ხანის კატაკომბა [13, ნახ., 10,15,16,17,]. მსგავსი კონსტრუქციისაა მესამე გორასამარხში გაწმენდილი 10 კატაკომბური სამარხი [13, გვ., 26, ნახ. 28,29,30]. სამარხთა უმეტესობა ინდივიდუალურია. ზოგ მათგანში კი გვხვდება ერთზე მეტიც. ასეთია მე-17 სამარხი, სადაც დაკრძალული აღმოჩნდა სამი მოზრდილი და ორი ბავშვი. ყველა იწვა კიდურებმოხრილი [13, გვ.,38, ნახ. 41]. მე-4 გორასამარხში აღმოჩნდა 7 კატაკომბური სამარხი. მათი კამერა ოვალურია. ერთ მათგანში გაიწმინდა ორი მოზრდილის ჩონჩხი და ერთიც ბავშვის [13, გვ., 46-51]. შუაბრინჯაოს ხანითაა დათარიღებული სამი კატაკომბური სამარხი, რომელიც გაიწმინდა მე-5 გორასამარხში. ორი მათგანი ეკუთვნის ბავშვებს და ერთიც მოზრდილს. იწვნენ რომელიმე გვერდზე კიდურებმოხრილი. ყველა სამარხში შეიმჩნევა ოხრა [13, გვ., 51-54].

ყუბანის სტეპურ ზონაში შესწავლილი კატაკომბური სამარხების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ჩრდილოკავკასიურ კულტურის ჩრდილო-დასავლურ ვარიანტს, ვ. ტრიფონოვმა შეიმუშავა და გამოყო კულტურის განვითარების ოთხი სახეობა (ტიპი), რომელიც ყვრდნობა ზუსტ სტრატოგრაფიულ მონაცემებს [44, გვ., 51-54].

პირველი სახეობის (აქ გამოყოფილია კიდევ ოთხი ვარიანტი) კატაკომბებისათვის დამახასიათებელი დამრეცი შესასვლელი, რომელიც უერთდება ოვალური, სწორკუთხა ან ტრაპეციის ფორმის კამერას. მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე სუსტად მოხრილი კიდურებით (1-3 ვარიანტი). მე-2 და მე-3 ვარიანტის სამარხებში ზურგზე გამოტოვილი მიცვალებული თითო-ოროაა. თანმხლები მასალა მწირია [44, გვ., 146-147]. მე-4 ვარიანტის სამარხები მართალია მცირერიცხოვანია, მაგრამ გამოირჩევიან მათთვის დამახასიათებელი თავისებურებებით, რაც გამოიხატება პირველ რიგში დაკრძალვის საერთო წესში მიცვალებული წევს ზურგზე გამოტოვილ მდგომარეობაში, ამის შესაბამისად სამარხიც მოგრძობა და კუთხეებმომრგვალებული, ფეხებთან შევიწროებული [44, გვ., 147]. საერთოდ, პირველი სახეობის (ტიპის) სამარხებში შეიმჩნევა მთლიანად (ბავშვის) ან ნაწილობრივ (მოზრდილის) ოხრის ან ცარცის მოყრის ტრადიცია [44, გვ., 147].

მეორე სახეობის (გამოყოფილია ორი ვარიანტი) კატაკომბებს გააჩნიათ სწორკუთხა შახტი ჰორიზონტალური იატაკით და ოვალური კამერით. იშვიათ შემთხვევაში კამერა შახტისაგან გამოყოფილია დაბალი საფეხურით [44, გვ., 153, ნახ. 22]. პირველი ვარიანტის სამარხებში მიცვალებული დაკრძალულია სუსტად მოხრილი კიდურებით მარჯვენა გვერდზე, სახით შესასვლელისაკენ. პირველისგან განსხვავებით, მეორე ვარიანტის სამარხებში მიცვალებულის ანატომიური მდგომარეობა დარღვეულია. ძვლები ხშირ შემთხვევაში აკლია [44, გვ. 153].

უფრო მრავალრიცხოვანია მესამე სახეობის (გამოყოფილია სამი ვარიანტი) კატაკომბები. მათთვის დამახასიათებელია ვიწრო, კუთხეებმომრგვალებული, ზოგჯერ წრიული ან ოვალური ფორმის საკმაოდ ღრმა შახტები (12 მ.), რომელიც კამერასთან მთავრდება საფეხურით. კამერა ნახევრადწრიულია, შესასვლელი თალისებური, რომელიც იკეტებოდა ხის კარით. საინტერესოა, რომ ზოგჯერ კამერაში შესასვლელს ჰქონდა რამდენიმე საფეხური [44, გვ., 166].

მიცვალებული დაკრძალულია მარჯვენა გვერდზე ძლიერ მოხრილი კიდურებით, სახით შესასვლელისაკენ. ამავე სახეობას ეკუთვნის სამარხთა ჯგუფი (მეორე ვარიანტი), რომელშიც ჩონჩხი ნაწილ-ნაწილაა დაღაგებული და ამდენად მისი ანატომიური მდგომარეობა დარღვეულია. როგორც წესი, ყველგან შეიმჩნევა ოხრა, ცარცი და ნახშირი [44, გვ., 156] რაც არ ახასიათებს ამავე ტიპის მესამე ვარიანტის სამარხებს. აქ ყველა მიცვალებული დაკრძალულია ძლიერ მოხრილი კიდურებით მარჯვენა და მარცხენა გვერდზე [44, გვ., 156].

მეოთხე სახეობის კატაკომბებს აქვთ ვიწრო, სწორკუთხა და ამასთანავე გრძელი ჭა, რომელიც მთავრდება ნახევარწრიული ან ოვალური კამერით. მიცვალებულს კრძალავენ ზურგზე გამოტილ მდგომარეობაში. ყველგან შეიმჩნევა ოხრა და ნახშირი [44, გვ.; 159] სინქრონული ძეგლების გათვალისწინებით ტრიფონოვი ყუბანის სტეპური ზოლის კატაკომბური სამარხებისთვის იძლევა ქრონოლოგიურ სქემას [44, გვ.; 120, ნახ; 11], რომლის მიხედვით ყველაზე ადრეული კატაკომბები ჩნდება ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოს ან II ათასწლეულის დასაწყისში (ენეოლითური, მაიკოპის, ორმოიანი და წინაკატაკომბური ეტაპების შემდეგ) და არსებობას განაგრძობს ძვ. წ. XIV საუკუნემდე [44, გვ.; 165-166].

საინტერესოა, რომ მდ. ყუბანის ზემო წელზე შესწავლილი კატაკომბური სამარხები ჩამოყალიბებულია უფრო ადრეულ გორასამარხებში. სამ გორასამარხში ჩამოყალიბებული აღმოჩნდა 63 კატაკომბური სამარხი (სუეოროვის—51, ხოლოდნოროდნის—8 და უსტავეგუტინის—4) [32, გვ.; 106]. მათთვის დამახასიათებელია კუთხეებმომრგვალებული

ჭისეური ორმო, ოვალური ფორმის კამერით, ზოგჯერ წრიული. გვხვდება ტრეპეციის ფორმის ან კვადრატული კუთხეებ-მომრგვალებული. მათი ღონეები სწორია, ხშირ შემთხვევაში კი საფეხურით გამოყოფილი. ჭიდან კამერაში შესასვლელი იკვებოდა ქვის ფილით, რომელიც გარედან თიხით ილესებოდა [32, გვ; 114, ნახ; 43]. სამარხები ინდივიდუალურია, დაკრძალული ზურგზე გამოტილ მღვთმარობაში, თავით სამხრეთით, სამხრეთ-აღმოსავლეთით ან სამხრეთ-დასავლეთით. გვხვდება აგრეთვე კიდურებმოხრილი, რომელიმე გვერდზე დაკრძალულიც. საინტერესოა, რომ სამარხთა ამავე ჯგუფში დაფიქსირდა წყვილად დაკრძალვაც (უსტ-ჯეგუტინის გორასამარხი №4, სამარხი №8; სუვოროვის გორასამარხი №1, სამარხი №12.; გორასამარხი №3; სამარხი №9; გორასამარხი №6; სამარხი №5; გორასამარხი №11; სამარხი №12; გორასამარხი №12; სამარხი №9) [32, გვ; 115]. აღსანიშნავია ამავე ჯგუფში დაფიქსირებული მეორადი დასაძვინის შემთხვევაც, რაც იმაში გამოიხატება, რომ ძველ მიცვალებულს მიაყურებენ კამერის რომელიმე კედელთან ან კუთხესთან და მის ადგილზე დაკრძალავენ ახალს [32, გვ; 116].

მდ. ყუბანის ზემო წელზე შესწავლილი კატაკომბური სამარხები თავისი კონსტრუქციით, დაკრძალვის წესითა და მდიდარი ნივთიერი მასალით, ა. ნეჩიგაილოს აზრით, ძალიან ღიდ მსგავსებას პოულობს კალმუხეთის ტერიტორიაზე შესწავლილ კატაკომბურ სამარხებთან, რის საფუძველზეც ცალკე ჯგუფად გამოყოფს მას და მიაჩნია, რომ ის უნდა გაჩენილიყო, ერთის მხრივ, კალმუხეთ-მანიჩისა და მეორეს მხრივ, ჩრდილო კავკასიური ტომების შემოსვლით ყუბანის ცენტრალურ ნაწილში, რამაც გამოიწვია ადგილობრივი ტომების გადაადგილება ხეობების აყობებით მთის მიმართულებით [32, გვ; 132-133] ავტორის აზრით, მოსულიც და დამხვედურც ერთმანეთს არ ერწყმიან და არც ენაცვლებიან. ამდენად, ჩრდილო კავკასიური კულტურის გვიანდელი ტიპი ძალიან ახლოს დგას ზემო ყუბანის მასალასთან, რაც აძლევს მათი სინქრონიზაციის შესაძლებლობას [32, გვ; 133].

კატაკომბური სამარხები უცხო არ არის აღმოსავლეთ ამიერკავკასიისთვის. აღსანიშნავია 1959 წელს შირაკში (სომხეთი) გათხრილი სამარხები. მათი კვადრატული ფორმის შახტისებური შესასვლელი ბოლოვდებოდა გვერდზე გამოჭრილი, ოვალური ფორმის თახჩით. ჩასასვლელი კი ამოვსებული იყო ტუფის ქვით [47, გვ; 3] საინტერესოა, რომ აქ დადასტურდა წყვილად და კოლექტიური სამარხები. აღნიშნულ სამარხებს სპეციალისტები გვიანბრინჯაო-აღრერკინით ათარიღებენ [47, გვ; 7] პირველი გათხრები შირაკის პლატოზე ჯერ კიდევ 1895 წელს აწარმოა ნ. მარმა და მანვე ეს

სამარხები ძვ. წ III-II ათასწლეულით დაათარიღა [36, გვ; 6]. ამავე პერიოდით თარიღდება შირაკის ველზე, არტიკში 60-იან წლებში გ. ხაჩატრიანის მიერ გათხრილი კატაკომბური სამარხები. მომდევნო წლებში სამარხთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა [47, გვ; 7].

კატაკომბური სამარხები აღმოჩენილი და შესწავლილია მდ. ივრის მარცხენა მხარეს ადგილ ფურცელწყალზე. გათხრილია 14 სამარხი. ყველა ჭისებური, ოთხკუთხა ჩასასვლელით [1, გვ; 27-51 ტაბ; XX-XXVIII]. გაძარცვული აღმოჩნდა ოთხი (№1, 9, 10, 11). ყველა ქვაშიწაყრილიანი. მიცვალებული არ დადასტურდა შვიდ სამარხში (№2, 3, 1, 5, 6, 8, 12, 13). გამოტილ მდგომარეობაში, აღმოსავლეთ-დასავლეთ ხაზზე, დაკრძალული იყო №3 სამარხში, ხოლო მოხრილი კიდურებით, მარცხენა გვერდზე №4 და მარჯვენა გვერდზე №7 სამარხი. ეს უკანასკნელი საინტერესოა იმითაც, რომ მის გარდა, სამარხის დასავლეთ კედელთან დაკრძალული აღმოჩნდა კიდევ სამი მიცვალებული: ორი ბავშვის და ერთი მოზრდილის, რომელიც იწვა ერთ რიგად დაფენილ რიყის ქვაზე [1, გვ; 43-44].

მ. კაპანაძის მიხედვით, ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული უნდა იყოს №7 სამარხი, უძებნის რა პარალელებს ისეთ ძეგლებზე, როგორცაა: ტარსუსი კონიის ველზე, ქანან ჰუიუკი, იასი ჰუიუკი I, ჩივრილ ჰუიუკი და სხვა, რომლებიც თარიღებიან ადრე ბრინჯაოს I-II პერიოდით (3000-2400 წწ). მაგრამ რიგი ნიშნების მიხედვით №7 სამარხი (სამარხის კოლექტიურობა, იაგაკის ქვით მოგება, პირფართე და ღრმა ბადიები), უნდა დათარიღდეს ადრე ბრინჯაოს ხანის III პერიოდით (ძვ. წ. 2500-2300 წწ) [1, გვ; 45-46]. ხოლო ყველაზე გვიანდელი სამარხი ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებით [1, გვ; 35].

კატაკომბური კულტურის წარმოშობის საკითხი, როგორც პრობლემა XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლომდე არ დამდგარა. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩრდილო კავკასიაში და საერთოდ ევროპის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სერიულად იქნა შესწავლილი სამარხთა აღნიშნული სახეობა, დღის წესრიგში დადგა ახლებურად გააზრებულიყო არა მარტო ე. წ. ჩრდილო კავკასიური კულტურა [1, გვ; 5], არამედ საერთოდ, კატაკომბური სამარხის წარმოშობაც.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, ღონზე აღმოჩენილი სამარხების მაგალითზე, ვ. გოროდცევი მიუთითებდა, რომ ეს არ იყო ადგილობრივი და ხალხმა, რომლებმაც მოიგანეს სამარხის აღნიშნული სახეობა, გამოსული უნდა ყოფილიყო ხმელთაშუა ზღვის აუზიდან [18, გვ; 263]. დასავლური წარმოშობის ამრს იზიარებს ლ. კლეინიც [23] და კშაკიც. მათი აზრით, სამარხის ეს სახეობა, დამახასიათებელია ხმელთაშუა ზღვის აუზისთვის ძვ. წ. IV-II ათასწლეულებში [1, გვ; 12].

მეცნიერთა ერთი ნაწილი კატაკომბური სამარხის საწყისებს დასავლეთ ევროპის მეგალითულ კულტურაში ხედავს, მიუთუთებენ რა დიდ მსგავსებას მეგალითურ სამარხებსა და საფრანგეთის ჩრდილო ნაწილში გათხრილ კატაკომბურ სამარხებს შორის. საინტერესოა, რომ მათი უმეტესობა კოლექტიურია და თითოეულ მათგანში დაკრძალულია 3-დან 60-მდე ადამიანი [1, გვ; 12]. მეცნიერთა აზრით ამ კულტურამ დიდი გავლენა მოახდინა აღმოსავლეთით მონარსახიან კერამიკის, ხოლო მეორეს მხრივ, კემი-თინის, ნიქნიმისაილოვისა და დასავლურ კავკასიური დოლმენების კულტურების შერწყმის შედეგად ყალიბდება კატაკომბური კულტურა [17, გვ; 14]. ზოგის აზრით, კატაკომბური კულტურა ეკუთვნის წინააზიიდან მოსულ ტომებს, რომლებიც აქ მოვიდნენ კავკასიის გავლით [22; 21; 43]. აქვე არსებობს მოსაზრება იმის შესახებ, რომ კატაკომბური კულტურა უნდა განვითარებულიყო ადგოლობრივი ორმოსამარხებიდან თანდათანობით, ევოლუციის გზით [26, გვ; 57; 10, გვ; 330-336; 37, გვ., 50-67; 46, გვ., 37].

ასევე არაერთ აზროვნანია საკითხი კატაკომბური სამარხების კლასიფიკაციის შესახებ, რამაც ასახვა ჰპოვა მრავალი მეცნიერის ნაშრომებში [41; 42; 33, გვ. 4-26; 34, გვ., 26-34; 14; 22; და სხვა] ყურადღებას გაფრთხილებით რამდენიმე მათგანზე.

ვ. საფრონოვმა ჩრდილო კავკასიისათვის შეიმუშავა ბრინჯაოს ხანის უნივერსალური პერიოდიზაცია, რომელიც მთლიანად ეყრდნობა სტატიგრაფიულ-ტიპოლოგიურ ანალიზს და გამოყო 5 პორიზონტი, სადაც ყველაზე უძველესი მიიჩნია C და D პორიზონტები [35, გვ., 27].

გ. ნიკოლაევის აზრით, მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ნივთიერ მასალას, ისე სამარხის კონსტრუქციას, კამერის ფორმას, მის შესასვლელს, მიცვალებულის დაკრძალვის პოზას და რა თქმა უნდა სტრატეგრაფიას [35, გვ., 26]. ითვალისწინებს რა საფრონოვის პერიოდიზაციას, იგი გამოყოფს 7 ჯგუფს, სადაც I-IV შეესაბამება თ ფორმის სამარხებს, გრძელი შესასვლელით. ხოლო V-VII ჯგუფი ფორმის, შედარებით მოკლე შესასვლელით [35, გვ., 28]. მისი აზრით, ყველაზე უძველესია I-IV ჯგუფი (თ ფორმის). მათთვის დამახასიათებელია გრძელი, დამრეცი შესასვლელი, რომელიც თაღოვან კამერასთან მთავრდება [35, ნახ., 1 გეგმა I, II; პროფილე 8,9], რაც მუსტად შეესატყვისება ჩალიანხევის №1 სამარხის კონსტრუქციას.

გ. საფრონოვი აჯერებს რა აზრის მხარის, მდ. დონის ქვემო წელსა და ყუბანის მხარის კატაკომბებს ერთმანეთთან, აღნიშნავს, რომ მდ. ყუბანის შუა და ქვემო დინებაზე ორმოსამარხებს ცვლის

თ ფორმის კატაკომბები, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში კამერისკენ დამხრობილი დრომოსი აქვს. ასეთი სამარხების კერამიკულ ნაწარმს პარალელები ეძებნება ტიურინგიის მონარსახიან კულტურაში (ლაპარაკია ამფორებზე), რომელიც თავის მხრივ ანალოგიურია შუა გერმანიის კომპლექსებთან [40, გვ; 59-60]. ამასთანავე იზიარებს რა ვ. ფისენკოს აზრს, აღნიშნავს, რომ ჩრდილო ოსეთსა და სტავროპოლის მხარეში წინა კავკასიური კულტურის ჩამოყალიბებაში, ასევე მონაწილეობა უნდა მიეღო მტკვარ-არაქსის კულტურის მაგარებელ ტომებსაც [40, გვ; 60].

ნ. ნიკოლაევის აზრით, დოლმენური კულტურის მაგარებელი ხალხი, რომლებიც ხმელთაშუა ზღვის აუზიდან იყვნენ გამოსულები, სახლდებიან ჩრდილო კავკასიაში და ითვისებენ ტერიტორიას ჩრდილო შავი ზღვის პირეთიდან მდ. თერგის ზემო წელამდე [34, გვ; 81]. ერთის მხრივ სფერულტანიანი ამფორებისა და მეორეს მხრივ მონარსახიანი კერამიკის კულტურებმა დიდი როლი ითამაშეს დოლმენური კულტურის ჩამოყალიბებაში, რომელიც თავის მხრივ წინ უსწრებდა კატაკომბური კულტურის წარმოშობას და მასზე დიდი გავლენა მოახდინა [34, გვ; 82].

ყოველივე ზემოთ ნათქვამს თუ გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ კატაკომბური კულტურა ჩრდილო კავკასიაში, როგორც მთისწინა, ისე სტეპურ ზოლში; შემოდის დასავლეთიდან და იკავებს მთლიან სივრცეს შავსა და კასპიის ზღვებს შორის, რომელიც შემდეგ თანდათან ვრცელდება კავკასიის ქედის სამხრეთითაც. მისი ყველაზე ადრეული ეტაპი შეიძლება მივიჩნიოთ ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო II ათასწლეულის დასაწყისი. ყოველ შემთხვევაში ძვ. წ. XXIII საუკუნის იქით აღარ მიდის. ჩვენ შემთხვევაში ჩალიანხევის №1 კატაკომბური სამარხი თავისი კონსტრუქციით, თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ კატაკომბური სამარხების ყველაზე ადრეულ ჯგუფს, ხოლო ბრიმადელის სამარხები შედარებით უფრო გვიანდელს. ვნახოთ, რას იძლევა მასალა

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ბრიმადელის ორი სამარხიდან ერთი მთლიანად განადგურებული აღმოჩნდა, მეორე კი ნაწილობრივ დაზიანებული. გადარჩენილ ფართობზე, ჩონჩხთან ერთად გაიწმინდა ძვლის სამკუთხედის ფორმის ოთხი მძივი და ძვლისავე სხვადასხვა ზომის წრიული ფორმის 13 მძივი. [ტაბ, I-3].

სამკუთხა ფორმის მსგავსი მძივი აღმოჩნდა სოფ. ყობანთან ახლოს (ჩრდილო ოსეთი), მდ. გიგელდონის მარცხენა მხარეს ტერასაზე გათხრილ №4 სამარხში. საინტერესოა, რომ სამარხის კედლები ამოშენებული იყო ქვით და ძირიც მოგებული წვრილი ქვით. სამარხში ორი ჩონჩხი დადასტურდა, რომელსაც თიხის ჭურჭელთან ერთად

თან ახლდა სამკუთხა ფორმის ძელის გულსაკიდი და სარდიონის მძივები. აქვე გაიწმინდა ბრინჯაოს რგოლი [39, გვ; 21-22, ნახ; 5, ნახ; 7-6,3].

მსგავსი ფორმის მძივი დაღასტურებულია ქორეთის ერთ-ერთ ყორღანში [5, ტაბ; XX,18], ახალციხის ამირანის გორის №61 და №14 სამარხებში [4, ტაბ., 23, 5; 10, 16], ქვაცხელების (ტელეპიას ქოხი) №2 სამარხში [2, გვ., 24, ტაბ, XXXVI].

ძელის სამკუთხა ფორმის მძივი, წვერთან გამჭოლი ნახვრეგით , დამოწმებულია ენაშთის (დელიფლის წყაროს რ-ნი) №1 ყორღანში [5, გვ; 57, სურ; 37, მეორე, მედა მარცხენა კუთხეში].

ჩალიანხევის №1 კატაკომბურ სამარხში ინვენტარი წარმოდგენილია თიხის ექვსი ჭურჭლით, სადაც ჯამი ორია, სასმისი სამი და ქოთანს ერთი. ჭურჭლის ყველა ეს სახეობა დამახასიათებელია მტკვარ-არაქსის კულტურის არსებობის მთელ მანძილზე, აღრეული ეტაპიდან ბოლო ეტაპამდე. მსგავსი ჯამები დამოწმებულია დაშიუმის №5 და კაბალას ყორღანებში (ჩრდილო-დასავლეთი ამერბაიჯანი) [12 ტაბ., XVIII-14; ტაბ., XXII-8]. აქაც, მსგავსად ჩალიანხევის ჯამისა, გააჩნია ერთ მხარეს პორიზონტალური შეფერილი გამჭოლი, ვიწრო ხვრელით [ტაბ., XVII-14]. ორმაგი პორიზონტალური შეფერილები აქვს ერთ შემთხვევაში ორივე მხარეს, ხოლო მეორეს მხოლოდ ერთ მხარეს, ოსმანბოზუს №4 ყორღანში მოპოვებულ ანალოგიურ ჭურჭლებს [12, ტაბ., XX-1,5] პორიზონტალური შეფერილი აქვს მიძერწილი, მხოლოდ გამჭოლი ხვრელის გარეშე, დაშლი თეფეს ყორღანში აღმოჩენილ ჯამს [12, ტაბ., XXI-10] და იქვე მის სიახლოვეს გათხრილ №20 სამარხის ჯამს [12, ტაბ., XXII-8]. ასევე ძალიან დიდ მსგავსებას იჩენს ჩალიანხევის ჯამი, ამავე ყორღანში აღმოჩენილ მსგავს ჭურჭლებთან [12, ტაბ., XXII-3] და ხანკენლინის ყორღანების ჯამებთან (№119 და №103) [12, ტაბ., XXIII-4, 20]. ჩალიანხევის აღნიშნული ჭურჭელი ფორმით ახლო მსგავსებას იჩენს გოთიფეს (ურმიის ტბა) შაჰპრიალა ჯამებთან [49, ტაბ., XX-5] და იანიკ-თეფეს ანალოგიურ ჭურჭლებთან [25, ნახ., 36-6].

მსგავსი ჭურჭელი უფრო აღრეული ძეგლებიდანაცაა ცნობილი. ის დაღასტურებულია ყარაბაღში [6, კრებითი ტაბულა 5] ნახჭევანში [6, გვ., 26] და მულანში [7, ტაბ.,XXII-10., ტაბ.,XXIII-8].

ჩალიანხევის №1 გორასამარხში მოპოვებულ ქოთანს პარალელები ეძებნება სამშვილდის მასალასთან. ეს არის №17 სამარხში აღმოჩენილი ქოთანები, რომლებიც შემკულია ერთ შემთხვევაში რელიეფური კლაკნილი ხაზით, ხოლო მეორე შემთხვევაში სხივურად განლაგებულ, ორმაგი რელიეფური ხაზით [3, ტაბ., XXV, 3-6], ხიზანაანთ გორის E დონეზე [2, ტაბ., XXVII-4].

მაგრამ ჭურჭლის ეს სახეობა განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი ამერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთით გათხრილ ბორსულინის № 5, № 7 და № 12 გორასამარხებში [12, ნახ., XIX-13; ნახ., XX-7, 14]. გ. ახუნდოვი მიმოიხილა ეს რა ამ რეგიონის გორასამარხებში მოპოვებულ თიხის ნაწარმს, იძლევა მასალის კლასიფიკაციასადაც აღნიშნულ ჭურჭელს II ტიპის მეორე ქვეტიპში ათავსებს [12, ნახ., XXVI, 1-14]. მისი აზრით, ძალიან ახლოსა დგას, როგორც ბეშთაშენის ენეოლითური ფენიდან მომდინარე ჭურჭელთან, ისე ჩრდილო კავკასიის იმ ძეგლების მასალასთან, რომელზეც მტკვარ-არაქსის კულტურის გავლენა იგრძნობა [12, გვ., 73].

სასმის მტკვარ-არაქსის კულტურაში საკმაოდ გავრცელებული სახეობაა მისი ადრეული ეტაპიდანვე. ის საკმაოდ კარგადაა წარმოდგენილი სამშვილდის მასალაში [3, ტაბ., XXI-5; XII-3,4,7; XVI-5,6,7,9,11; XVII-6,7; XXVI-3,9; XXVII-8,9; XXXVI-7,8,9], ახალციხის ამირანის გორიდან ორი სასმისი, რომლებსაც მხარზე მიგზავები აქვთ ამოკაწრული, ა. ორჯონიკიძის აზრით, უფრო მტკვარ-არაქსის გვიანდელ ძეგლებთან აახლოებს [4, გვ., 60, ტაბ., 17-12]. მოყვითალო ფერის სასმისი გაპრიანებული ზედაპირით დამოწმებულია ციხიაგორის 1 ფენის № 81 ორმოში. ჭურჭლის მხარი შემკულია ჭრილობოვანი ორნამენტით [21, გვ., 40, ტაბ., XI-2]. მსგავსი ფორმის ჭურჭელი დამახასიათებელია მესხეთ-ჯავახეთისათვისაც [21, ტაბ., IV, 435]. დამოწმებულია უზერლიკ თეფეზე [24, ტაბ., 12]. ბაბადერევიშის ერთ-ერთ გორასამარხში [9, ტაბ., II]. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ანალოგიური ჭურჭლის სიმრავლე ამერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის ძეგლებზე [12, ნახ., XXVII], სადაც ეს სახეობა გ. ახუნდოვის მიერ ცალკეა გამოყოფილი (მე-3 ტიპი) [12, გვ., 73-76], კავკასიის ჩრდილო- აღმოსავლეთით ცნობილია გინჩის [15, ტაბ., 19-18, 6/14], გათინ-კალას [29] და შებახას [31, ტაბ., 29/14] სამარხებიდან. ანალოგიური ჭურჭელი, მხოლოდ მხარზე ორი პარალელური რელიეფური დანაძერწებით ცნობილია მტკვარ-არაქსის მომდევნო პერიოდისთვისაც, რაც კარგად ჩანს იგივე გინჩისა და გათინ-კალას მასალებში [28, ტაბ., 28, 26], შეკისა [11, ტაბ., III-14] და აფშერონის ძეგლებზე [8, ტაბ., 10].

ყოველივე ზემოთ თქმულს თუ შევაჯამებთ, აღმოჩნდება, რომ ჩალიანხევის № 1 სამარხის მასალა დიდ მსგავსებას პოულობს მტკვარ-არაქსის კულტურის როგორც ადრეულ (სამშვილდის სამარხებში), ისე გვიანდელ ძეგლებთან. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დიდი იდენტურობა ამერბაიჯანის ჩრდილო-დასავლეთის ძეგლებთან. ფაქტიურად ეს არის მდ. ალაზნის მარცხენა

და მარჯვენა მხარე. ამდენად მოსალოდნელიცაა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში აქ ერთმანეთის მსგავსი ძეგლები არსებულებო. ამგვარიჯანის ჩრდილო-დასავლეთ რაიონში მოპოვებულ კერამიკულ მასალაში, გ. ახუნდოვის მიერ გამოყოფილია ოთხი ტიპი (ცალკეა მეხუთე – არასტანდარტული), სადაც ქრონოლოგიურად ყველაზე ადრეული პირველი და მეორე ტიპია. სწორედ მათთან იქნეს დიდ მსგავსებას ჩალიანხევის №1 სამარხი. ხოლო ის სამარხები, რომლებიც ამ ორი ტიპითაა წარმოდგენილი, თარიღდებიან ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო მესამედით [12, გვ., 86]. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია აგრეთვე მსგავსება ისეთ ძეგლებთან, რომლებიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრის დასასრულით განისაზღვრება. ის კი იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩალიანხევის №1 სამარხი ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებს მიუახლოვოთ (ძვ. წ. XXV-XXIV სს). რაც შეეხება ბრიმადელის სამარხებს, ისინი, როგორც ჩანს უფრო გვიანდელია და მათი თარიღი ალბათ ძვ. წ. III-II ათასწლეულის მიჯნით უნდა განისაზღვროს.

W. Warazaschwili

**Für die Datierung der Kothakombgräber auf
der Hochebene vom Fluss-Iori
(Zusammenfassung)**

Auf der der Hochebene vom Fluss-Iori sind drei Kathakombgräber zu erforschen. Sie sind sehr beschädigt. Zwei von diesen Gräbern befanden sich nebeneinander. Ein davon war dermaßen beschädigt, dass darin außer einigen Knochenfragmenten nichts mehr zu finden ist. Im zweiten Grab wurde ein Skelett nur mit der Hornketten entdeckt.

Das dritte Grab war ebenfalls in zwei Schurphe beschädigt. Bei der ersten war ein Eingang zu erkennen und bei der zweiten gab es eine Grabkammer. Die ovale Grabkammer war im gelben Ton geformt und an der Ost-westlinie angelehnt. Sie war 2,65 Meter lang, zwei Meter tief und ein Meter hoch (L/T/H-2,65/2/1). Auf der Ostseite der Kammer war ein drei Meter lange Eingang angeschlossen, der mit einer 0,70 Meter hohe Stufe endete. Der Kammer war von oben mit großen, massiven, Plattsteinen zugedeckt. Im Eingagnsbereich befanden sich fünf Leichen, alle waren sehr beschädigt und hatten keinerlei Inventar bei sich. In der Grabkammer selbst lagen sechs Leichen, die unterschiedlich zur Seite gebeugt waren. Dort wurden auch sechs Tongefäßer entdeckt.

Die Materialien vom Grab Nr.1-Chalianchevi weist vielen Gemeinsamkeiten mit den Denkmälern von Mtkvari-Araxi-Kultur auf. Die Ähnlichkeit ist ebenfalls mit den Denkmälern aus Nord-west Aserbaidschan zu beobachten, die aus der letzten Drittel des III Jahrtausends vor Chr. datiert sind. Im Vergleich dazu können die Materialien vom Grab Nr.1-Chalianchevi noch älter eingestuft werden, sie stammen vermutlich aus der Mitte des III Jahrtausends vor Chr. Was die ersten zwei Gräber betrifft, können sie auf dem III-II Jahrtausends vor Chr. datiert werden.

გაბულების აღწერილობა

გაბ. I. 1. ბრმაღელის პირველი და მეორე სამარხის ჭრილი.

2. მეორე სამარხის ჭრილი.

3. მეორე სამარხში მოპოვებული ძვლის მძივები.

გაბ. II. ჩალიანხევის № 1 სამარხის გეგმა და ჭრილი.

გაბ. III. ჩალიანხევის № 1 სამარხის თიხის ჭურჭელი.

გაბ. IV. ჩალიანხევის № 1 სამარხის თიხის ჭურჭელი.

გაბ. V. ჩალიანხევის № 1 სამარხის თიხის ჭურჭელი.


გამოყენებული ლიტერატურა

1. კაპანაძე მ., – ივრისპირეთის ბრინჯაოს ხანის სამაროვნები, კავ, VI, თბ., 1984
2. კიკვიძე ი., – სიზანაანთ გორის აღრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972
3. მირცხულავა გ., – სამშვილდე, თბ., 1975
4. ორჯონიკიძე ა., – სამცხე-ჯავახეთი აღრებრინჯაოს ხანაში, თბ., 1983
5. ჯაფარიძე ო., – ქართველი გომების ეთნო-კულტურული ისტორიისათვის ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულში, თბ., 1998
6. Алиев Н.Г., Поезднеэнеолитические памятники Азербайджана (Автореферат), Ле., 1991.
7. Алиев Н., Нариманов И., Культура северного Азербайджана в эпоху позднего энеолита, Баку., 2001
8. Алиев И. Н., Асланов Г. М., Отчет Абшеронского отряда, Баку-Абшеронской археологической экспедиции, Баку., 1988
9. Алиев В.Г., Культура эпохи средней бронзы Азербайджана, Баку., 1991
10. Артаманов М. А., Расписки курганов на реке Маниче в 1937 году, СА, Т, XI, 1938
11. Ахундов Т., Древник погребения Шеки, Матерьяльная культура Азербайджана, Т, XI, Баку, 1993
12. Ахундов Т. Северо-Западный Азербайджан в эпоху энеолита и бронзы, Баку, 2001
13. Бочкарев В. С., Бестужев Г. Н, Бианки А, М., Раскопки курганов у станцы Бруховской Краснодарского края в 1978 г., Древние культуры прикубанья, Ленинград, 1991
14. Бртченко С. Н., Нижнее Подонье в эпоху средней бронзы, Киев, 1976
15. Гаджиев М.Г., Из Истории Культуры Дагестана в эпоху бронзы, Махачкала, 1969
16. Гаджиев М., Погребальние обряды раннеземледельческих племен Дагестана, Образы и Культы древнего и средневекового населения Дагестана, Махачкала. 1986
17. Гаджиев М., Корневской С., Металл Беликентской катакомбы, Древние промыслы, ремесло и торговля в Дагестана, Махачкала, 1984


18. Городцов В. А., Бытовая археология, М, 1910
19. Городцов В. А., Культуры бронзовой эпохи в средней Азии. Отчет исторического музея за 1914 г. М., 1916
20. Давудов О., Новые исследования центральнодагестанской экспедиции, АО, 1938 б, М., 1985
21. Джапаридзе О. М. и др., Результат работ Месхет-Джавახетской археологической экспедиции (1970-1977), Тб., 1981
22. Иерусалимская А. А., О предкавказском варианте катакомбной культуры, СА №2, М., 1958
23. Клейн Л. С., Происхождение донецкой Катакомбной культуры (Автореферат), Л., 1968
24. Кушнарева К. Х., Новые данные о поселении Узерлик-тере около Агдама, Материалы и исследования по археологии СССР, №125, Москва-Ленинград., 1965
25. Кушнарева К. Х. Чубинишвили Т. Н., Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970
26. Латинин Б. А., К вопросу о памятниках так называемой мноваликовой керамикой, АС №6, Л., 1964
27. Марковин В. И., Культура племен Северного Кавказа в эпоху бронзы, МИА №93, 1960
28. Марковин В. И., Новый памятник эпохи бронзы в горной Чечне, Древности Чечено-Ингушетии, М., 1993
29. Магамедов П. Г., Горный Дагестан и Юго-восточная Чечня в эпоху средней бронзы (Автореферат), Махачкала., 1992
30. Мунчаев Р. М., Смирнов К.Ф., Памятники эпохи бронзы в Дагестаие, СА XXVI., 1956
31. Мунчаев П.М., Кавказ на заре бронзового века, М., 1975
32. Нечитайло А.А., Верхни прикубанье в бронзовом веке, Киев., 1978
33. Николаева Н.Л., Сафронов В.А., Древнейшая катакомбная культура Северного Кавказа и проблема появления катакомбной обряда в Восточной Европе, катакомбные памятники Северного Кавказа, Орджоникидзе., 1981
34. Николаева Н.А., Периодизация Кубано-Терской культуры, Исторические судьбы КТК в катакомбную эпоху, Катакомбные памятники Северного Кавказа, Орджоникидзе., 1981

35. Николаева Г.А., классификация катакомбных могил эпохи бронзы Северного Кавказа и предкавказья, Катакомбные памятники Северного Кавказа, Орджоникидзе., 1981
36. Петросян Л., Раскопки памятников Кети и воскеаска (III-II тые. до Н. Э.), Ер., 1989
37. Попова Т. Б., Племена катакомбной культуры, ТГИМ, вып. 24, М., 1955
38. Романовская М. А., Сторожевой курган, Археологическое открытия на новостройках, I, М., 1986
39. Ростунов В., Куро-Арагский магильники Северной Осетии, Погребальный обряд древнего средневекового поселения Кавказа, Орджоникидзе., 1988
40. Сафронов В. А., Катакомбные пмятиики предгорной зоны Северной Осетии, Катакомбные памятники Северного Кавказа, Орджоникидзе., 1981
41. Сафронов В. А., Классификация и датировка пмятников бронзового века, Сообщения НМС, вып. VII, М., 1974
42. Сафронов В. А., Периодизация и хронология раннего и начала среднебронзового века Северной Осетии, Тезисы, VIII, Крупновские чтения, Нальчик., 1978
43. Соловьев Л. И., Новый памятники культурных связей кавказского Причерноморья в эпоху Неолита и бронзы, Стоянки Воронцовой пещеры, Труды, Абхазского ин –та языка, литературы и истории, Т. XXIX, Сухуми., 1959
44. Трифионов В. А., Степное прикубние в эпоху энеолита-средней бронзы, древние культуры прикубанья, Л., 1991
45. Федоров Г. С., Еще одна Манская ктакомба, Древние памятники Северо-восточного Квказа, Махачкал., 1977
46. Хачтрян Л. Е., Катакомбы Арича, Научная сессия, тез., док. Еп., 1981
47. Хачтрян Т., Артикский некропол (каталог), Еп., 1979
48. Чеченов И. М., Курган 2 у селения кишпек в Кабардино-Балкарии, Новое в археологии Северного Кавкзса, М., 1986
49. Чубинишвили Т. К., Древней истории Южного Кавказа, Тб., 1971


ბაბ. I




ბაბ. II



ბბ. III



ბბ/ IV



ბბ. V

